ისტორიის გამოყენება პოლიტიკური მეცნიერების სწავლების პროცესში (სამეცნიერო-მეთოდური სემინარის მასალები)

ზვიად აბაშიძე

ასოცირებული-პროფესორი
პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი

ისტორია, როგორც ნორმატიულ-პოლიტიკური მოდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარებისა თანამედროვეობის პროდუქტია. იგი მჭიდროდ უკავშირდება იმგვარი პოლიტიკური პროექტის გაჩენას, როგორიც ერი-სახელმწიფოა. ერი-სახელმწიფოს პროექტი, თავის მხრივ განმანათლებლობის ინტელექტუალური კონსტრუქციის ერთ-ერთი სახეობაა, რომელმაც კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული მოსახლეობისგან ერთიანი, მეტ-ნაკლებად ჰომოგენური სამოქალაქო, თუ კულტურული იდენტობა უნდა შექმნას. ამგვარი იდენტობის ჩამოყალიბების საკითხში ისტორიის სწავლებას სრულიად განსაკუთრებული ძალა აღმოაჩნდა. „ეროვნული ისტორიის“ სწავლება ამ მხრივ განსაკუთრებული დანიშნულებისა აღმოჩნდა. ამიტომაც, „ისტორია“, როგორც პროექტი აუცილებელი შესწავლას მოითხოვს სოციალური და პოლიტიკური კონსტრუქციის პროცესის გასაგებად.

ვერც ერთი არსებული სოციალური თუ ჰუმანიტარული მეცნიერების დარგი გვერდს ვერ აუვლის ისტორიის სწავლების საკითხებს და ნებსით თუ უნებლიედ მოუწევს ისტორიის გარკვეული თემატიზება საკუთარ კურიკულუმში. აქვე უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან „ისტორია“, როგორც გარდასულ დღეთა ფაქტების ქრონოლოგიური აღნუსხვა და „ისტორია“ რომელსაც ნორმატიული კუთხით იყენებენ და გარკვეული მორალურ-აღმზრდელობითი საკითხები აინტერესებს. ვფიქრობ, ყოველთვის საჭიროა იმ გვარი რე-

ალობების გაგება, თუ რა ვითარებებში აღმოცენდება ეს ორი „ისტორია“. მას პირდაპირი კავშირი აქვს ლეგიტიმურობის საკითხებთან.

ჩემს ყველა სალექციო კურსში მიწევს „ისტორიებზე“ ყურადღების გამახვილება, რადგანაც მათ გაგებას ხშირად ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს დასმული პრობლემების გასააზრებლად.

საგანში „პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები“, უმთავრესად ვეხები იმგვარ ისტორიას, რომლის მეშვეობითაც ვცდილობ წარმოვაჩინო ამა თუ იმ პოლიტიკური თეორიის გაჩენის ისტორიული კონტექსტი და წანამძღვრები, რადგანაც არც ერთი თეორია ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენდება და მას გარკვეული ისტორიული ვითარება განაპირობებს. ამ საგანში ყურადღებას ვამახვილებთ აგრეთვე საკითხზე, თუ რომელიმე თეორიის ავტორი რაგვარად განიხილავდა ისტორიის კონცეფციას და რა დანიშნულებას უძებნიდა მას სოციალური და პოლიტიკური შემეცნების პროცესში.

საგნებში: „შედარებითი პოლიტიკა“ და „მართვა-გამგეობა და პოლიტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ქვეყნებში“ ისტორიას, როგორც პროცესსა და ნორმატიულ საკითხს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ამ მხრივ ჩვენ გვაინტერესებს ისტორია ორი თვალსაზრისით:

1. იმდენად, რამდენადაც მოცემული საგნების მიზანია შეისწავლოს ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა შედარებით ჭრილში და ეფუძნება პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდის მიხედვით გააზრებას, ისტორია მეტად საჭირო დარგია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რაობის გასააზრებლად. როგორც წესი, ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის და პოლიტიკური პროცესის შესწავლა იმ სოციოკულტურული გარემოს შესწავლის მიხედვით იწყება, რომელ გარემოშიც უწევს მოცემულ სისტემას აღმოცენება. ამ გარემოს პოლიტოლოგები „პოლიტიკურ კულტურას“ უწოდებენ. კვლევები ადასტურებენ, რომ იგი არა მხოლოდ არსებული სოციალური კონსტრუქციის მიხედვით გაჩენილი შემეცნების შედეგად წარმოიშობა, არამედ მისი ტიპის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს წარსული ისტორიული მემკვიდრეობა, რომლის გააზრების გარეშე შეუძლებელი გაგება იმისა, თუ როგორ ვიღებთ მიმდინარე რეალობაში არსებულ გარკვეულ

რწმენა-წარმოდგენებს პოლიტიკური სისტემის და მასში მიმდინარე პროცესის შესახებ. არსებული რწმენა-წარმოდგენები კი უაღრესად მნიშვნელოვან როლ თამაშობს სისტემის სტაბილურობის თუ არამდგრადობის საკითხში.

ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ პოლიტიკური ინსტიტუტის თუ სტრუქტურის წარმოშობის და განვითრების ისტორიული განვითარების პროცესში დანახვას, რადგანაც ნებისმიერი ინსტიტუტი თუ სტრუქტურა გარკვეულ სოციალური პროცესის და გამოცდილების აკუმულაციას წარმოადგენს და კარგად გვაჩვენებს ამ მხრივ პოლიტიკური ლეგიტიმურობის სიმყარესა თუ სიმყიფეს.

2. იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ფუნქცია საზოგადოებრივ ერთობაში „ეროვნულ/პოლიტიკური“ იდენტობის დანერგვა და გაძლიერებაა, სალექციო კურსში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პროცესს, თუ როგორ ახერხებს ესა თუ ის მთავრობა „ისტორიული მეხსიერების“ შექმნას და გარკვეულ „ეროვნული სიამაყის“ დანერგვას მოსახლეობაში და რა ადგილი უჭირავს ამ ყველაფერში „ისტორიას“. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა ისეთ ქვეყნებში, რომლებმაც ნაგვიანები მოდერნიზაცია გაიარეს და გვიან შექმნეს ცენტრალიზებულ „ერო-სახელმწიფოები“. როგორც წესი, ამ ქვეყნებისთვის ხშირად ისტორია უფრო ნორმატიულ-აღმზრდელობითი მოდელია, ვიდრე უბრალოდ წარსულის ქრონოლოგიური აღნუსხვა. „წარსული“ მათთვის, როგორც სოციალური გამოცდილების ლაბორატორია ჯერ კიდევ მძლავრი იარაღია ახალი პოლიტიკური და სოციალური იდენტობის დასადგენად და ამიტომაც ხშირად ძლიერ არიან მიჯაჭვულნი ისტორიაზე. „ისტორია“, ხშირად, მათთვის ლეგიტიმურობის დადგენაში უფრო მეტ როლს თამაშობს, ვიდრე დემოკრატიული ლეგიტიმურობის თეორია. სწორედ ამ გაგებით განასხვავებენ ერთმანეთისგან ე.წ. „ისტორიულ“ და „პოსტ-ისტორიულ ერებს“. ესენი არიან ერები, რომლებიც მძლავრად არიან მიჯაჭვულნი წარსულს და ერები, რომელთათვისაც ისტორიაზე მეტად არსებული თანამედროვეობა მეტ როლს ასრულებს ლეგიტიმურობის დადგენასა და განვითარებაში

ამრიგად, ისტორია პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად საჭირო დარგია და გვერდს ვერ ავუვლით მის შესწავლას. ეს განსაკუთრებით საქართველოზე ითქმის, რომელიც ჯერ კიდე მძლავრად არის მიჯაჭვული წარსულ ისტორიას მისი ისტორიული ბედ-იღბლის გამო და შეგვიძლია იგი ე.წ. „ისტორიულ ერების“ კატეგორიას მივაკუთვნოთ. ხშირ შემთხვევაში, საქართველოში ისტორია უფრო ნორმატიული მოდელია და ლეგიტიმურობის საფუძველია, ვიდრე მხოლოდ წარსული ფაქტების ქრონოლოგიური აღნუსხვა და ემპირიული გამოცდილება

სალომე დუნდუა

ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

პოლიტიკის მეცნიერებას, როგორც სოციალურ მეცნიერებათა ერთ-ერთ დისციპლინას, კავშირი აქვს მეცნიერების სხვადასხვა დარგთანაც. განსაკუთრებით მჭიდრო ეს კავშირი ისტორიის მეცნიერებასთანაა, რაც პოლიტიკის მეცნიერების საგნების სწავლების სხვადასხვა დონესა და საფეხურზე კარგად ჩანს. პოლიტიკის მეცნიერებაში არსებული პრაქტიკულად ყველა ან დიდი ნაწილი ეგრეთ წოდებული კლასიკად ქცეული ნაშრომებისა (მაგ. ფრენსის ფუკუიამას ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, ბენედიქტ ანდერსონის წარმოსახვითი საზოგადოებები, რობერტ პატნემის „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია: სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში, ენტონი სმიტის ნაციონალური იდენტობა და სხვა მრავალი) ისტორიული გამოცდილების ანალიზის შედეგად მიღებული ნაშრომებია და მათი გააზრებაც დიდწილად სწორედ ისტორიის მართებულ ცოდნასთანაა დაკავშირებული.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პოლიტიკის მეცნიერების სასწავლო კურსების კითხვისას, განსაკუთრებით კი პოლიტიკის თეორიაში, გვერდს ვერ ავუვლით ისტორიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების ჭრილით სწავლებასაც. საბაკალავრო დონეზე ოთხ საგანს „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში“, „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“ და „პოლიტიკური ანთროპოლოგია“ ვასწავლი და ყოველი მათგანის სწავლების პროცესში მივმართავ ისტორიული ფაქტების, მოვლენებისა და განვითარებების ანალიზს. თუმცა, ერთ-ერთი მოცემულ საგანთაგანი - „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია“ ამ მხრივ გამორჩეულია, რადგან ყველაზე აქტიურად სწორედ ამ საგნის სწავლებისას გამოვიყენებ ისტორიული ფაქტების/მოვლენების პოლიტიკის მეცნიერებასთან მიმართებით გააზრების მეთოდს. მოცემული საგანი ერთ-ერთი გამორჩეული საგანია იმითაც, რომ აქ სტუდენტები პო-

ლიტიკური მოძღვრებების განვითარებას ეცნობიან არა რაიმე კონ-კრეტული სახელმძღვანელოთი, არამედ თავად სხვადასხვა ფილო-სოფოსთა ნაშრომების უშუალო გაცნობა/გაანალიზების გზით.

იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი მოაზროვნეზე რო-გორც პოლიტიკურ ფილოსოფიაში, ასევე სხვა დისციპლინებშიც, ზეგავლენას ახდენს ის ეპოქა და ისტორიულ მოვლენათა განვითა-რება, რომელშიც იგი მოღვაწეობდა, სალექციო კურსი იმგვარად მაქვს აწყობილი, რომ ყოველი ავტორის კონკრეტული ნაშრომის გავლამდე, სტუდენტებს ვაცნობ იმ ქვეყნისა და იმ ისტორიული ეპ-ოქის უმთავრეს პოლიტიკურ მოვლენებს, რომელშიც მოცემული შესასწავლი ავტორი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

მაგალითად, პლატონის „სახელმწიფოსა“ და არისტოტელეს „პოლიტიკის“ გავლამდე, სტუდენტები ეცნობიან ანტიკური პერი-ოდის საბერძნეთის, კონკრეტულად კი ათენის დემოკრატიის პრინ-ციპებს, რამდენადაც სწორედ ათენურ დემოკრატიაში მოღვაწეობის ჭრილში შეიძლება სრულფასოვნად მოცემული მოაზროვნეების პო-ლიტიკის, დემოკრატიის, სახელმწიფოსა თუ სხვა ინსტიტუტების შესახებ მოსაზრებების გააზრება.

ანალოგიური პრინციპით ვხელმძღვანელობ სალექციო კურ-სის პირობებში გასავლელ ყველა სხვა ავტორთან მიმართებითაც. ისტორიული კონტექსტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაკიავ-ელის ნაწარმოების შემთხვევაში. გარდა იმისა, რომ თავად მაკიავ-ელის ხედვების მართებული გააზრება მხოლოდ და მხოლოდ მე-15 - მე-16 საუკუნეების იტალიის ისტორიის გააზრების კონტექსტშია შესაძლებელი, მაკიაველი, თავადაც, „მთავარში“ მის მიერ შემოთა-ვაზებულ ყველა მოსაზრებას ისტორიული არგუმენტებით ამყა-რებს, რაც თავისთავად უცილობლად მოითხოვს ამა თუ იმ ისტო-რიული მოვლენის, პიროვნებისა თუ პროცესის გააზრებას. წინააღმ-დეგ შემთხვევაში „მთავარში“ გამოთქმული მოსაზრებები ბუნდო-ვანი დარჩება.

ანალოგიური სიტუაციაა თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის ნა-აზრევის შესწავლისასაც. მხოლოდ და მხოლოდ მე-17 საუკუნის ინ-გლისის ისტორიაში განვითარებული პოლიტიკური ძვრების ცოდ-ნა/ანალიზი, აძლევს სტუდენტს საშუალებას, გაიაზროს ის ფაქტო-

რები, რამაც ერთ ეპოქაში მოღვაწე ამ ორ დიდ მოაზროვნეზე განსხვავებული კვალი დატოვა; ასევე, კურსის ფარგლებში შესასწავლი ბოლო ორი ავტორი: რუსო და მონტესკიე და მე-18 საუკუნის საფრანგეთის ისტორია კვლავ და კვლავ პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარების ჭრილშია დანახული.

ვალერიან დოლიძე

ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

ისტორიის გამოყენება პოლიტიკური მეცნიერების ლექციებში საშუალებას იძლევა, სტუდენტებმა უფრო ღრმად გაიაზრონ შესასწავლი მასალა, დააკვირდნენ ცნებების ემპირიულ შესატყვისებს და ამის საფუძველზე ნათელი წარმოდგენა შეექმნათ პოლიტიკური მეცნიერების ცნებებზე, გაიგონ თუ რა არის პოლიტიკა და რა როლს ასრულებს ის საზოგადოების ცხოვრებაში და ა. შ.

პოლიტიკური მეცნიერების სალექციო პროცესში ისტორია ასრულებს დემონსტრაციის ფუნქციას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, კერძოდ ქიმიისა და ფიზიკის შესწავლისას, ფართოდ გამოიყენება ლაბორატორია. ამ დროს მასწავლებელი ჯგუფის თვალწინ ატარებს ცდებს, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, პრაქტიკულად დააკვირდნენ იმას, რასაც ისინი თეორიულად სწავლობენ ფიზიკისა და ქიმიის სახელმძღვანელოებში. პოლიტიკური მეცნიერების ლექტორი მოკლებულია ასეთ შესაძლებლობას. მას არ შეუძლია ლაბორატორიულ პირობებში შექმნას რევოლუციები ან დემოკრატიზაციის პროცესები და სტუდენტებთან ერთად დააკვირდეს მათ მიმდინარეობას. ლაბორატორია საბუნებისმეტყველო დარგების შესწავლის აუცილებელი პირობაა. პოლიტიკური მეცნიერების სწავლებაში კი ლაბორატორიის როლს ისტორია ასრულებს. იმაზე, თუ როგორ

ჩაახედებს ამ "ლაბორატორიაში" ლექტორი სტუდენტს, ბევრად არის დამოკიდებული, თუ რამდენად საფუძვლიან ცოდნას მიიღებს სტუდენტი პოლიტიკურ მეცნიერებაში. ისტორიის გარეშე პოლიტიკური მეცნიერების ლექციები შეიძლება მშრალი და გაუგებარი აღმოჩნდეს სტუდენტებისათვის. ამის თავიდან აცილებისათვის კი აუცილებელია, რომ ლექტორმა ფართოდ გამოიყენოს ცნებების ემპირიული შესატყვისები, კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე გახსნას ცნებების შინაარსი. სწორედ აქ არის შეუცვლელი ისტორია. მაგალითად, ისეთი ცნების ემპირიული შესატყვისი, როგორიც არის რევოლუცია, სწორედ ისტორიაში შეიძლება დაინახოს სტუდენტმა. ამ მოვლენასთან დაკავშირებული თეორიული მასალის გადმოცემის პროცესში ან მის შემდეგ, ლექტორს შეუძლია თეორიული მასალის პრაქტიკული დემონსტრირება მოახდინოს რუსეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კლასიკური რევოლუციების მაგალითზე. გარდა ამისა, მათ ფონზე შეიძლება განხილული იქნას აგრეთვე "ფერადი რევოლუციები" და დემოკრატიული რევოლუციები აღმოსავლეთ ევროპაში, მოხდეს მათი შედარება და გამოიყოს რევოლუციების არსებითი და არაარსებითი ნიშნები.

ისტორიას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტების მიერ დემოკრატიზაციის პროცესების შესწავლისთვისაც. კონკრეტული ისტორიული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე ლექტორს შეუძლია აჩვენოს თუ როგორ მიმდინარეობენ დემოკრატიზაციები და რა თავისებურებებით ხასიათდებიან ისინი, რამდენად შეიძლება ვისაუბროთ დემოკრატიაზე გადასვლის საერთო წესების შესახებ და ა.შ. ისტორია დემოკრატიზაციის თეორიების შემოწმების საშუალებაც არის.

პოლიტოლოგიის ლექტორმა სტუდენტებს ისტორია უნდა დაანახოს პოლიტოლოგის თვალით, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული მასალის დაკავშირებას ისტორიულ გამოცდილებასთან. ამ დროს ლექტორი აბსტრაგირებას აკეთებს დროისა და სივრცისაგან, რისი გაკეთების უფლება არ გააჩნია ისტორიკოსს და ცდილობს დაინახოს ის საერთო, რაც ახასიათ-

ებს სხვადასხვა დროსა და სივრცეში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, რის გამოც ისინი საერთო ცნების ქვეშ ერთიანდებიან. ისტორიაში პოლიტიკური მეცნიერების ლექტორის გზის გამკვალავს წარმოადგენს თეორიული მასალა, რომლის დადასტურებას ან უარყოფას ის ცდილობს ისტორიული შემთხვევების ანალიზის საფუძველზე. ისტორია საფუძვლიანობას მატებს ლექტორის მსჯელობას.

პოლიტიკური მეცნიერების სწავლების პროცესში დემონსტრაციის ფუნქციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიის მიერ შემეცნების ფუნქციის შესრულება. მაგალითად, ისტორია საშუალებას იძლევა აიხსნას ამა თუ იმ პოლიტიკური სისტემის თავისებურებები. სწორედ ისტორია იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რატომ არის თანამედროვე გერმანული სახელმწიფო ფედერაციულ პრინციპებზე მოწყობილი. ისტორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული კონფლიქტების შემეცნებაში, მათი მიზეზების გარკვევაში. ის შეუცვლელია აგრეთვე ისეთი მოვლენის შესწავლის პროცესში, როგორიც არის წარსულზე დამოკიდებულება (past dependence). ამ შემთხვევაში ლექტორს ისტორია საშუალებას აძლევს თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებები ისტორიის საშუალებით აუხსნას და გააგებინოს სტუდენტებს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ისტორია წარმოშობს პოლიტიკური მეცნიერების შესწავლის “ფონებრივ ცოდნას”, კონტექსტს, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, რომ ნათლად, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე წარმოიდგინონ პოლიტიკური ცნებების შინაარსი, შეიმეცნონ ის წესები და მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს პოლიტიკის ფუნქციონირებას, ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლონ პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლებს.

ავთანდილ ტუკვაძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ ასისტენტ–პროფესორი

ავტორიტარიზმისა და აგრესიული პოლიტიკის ისტორიული ფესვები რუსეთში

კომპარატიული კვლევა, რუსეთის პოლიტიკური ისტორიის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, საშუალებას იძლევა დავადგინოთ მემკვიდრეობითი კავშირი ცალკეულ სეგმენტებს შორის და დინამიკაში განვიხილოთ პოლიტიკური პროცესის განვითარება: დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკა ინარჩუნებს მემკვიდრეობით მიღებულ ღირებულებებს, წარსული და თანამედროვეობა ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და ავტორიტარული რეჟიმის გაძლიერების პირობებში ნაკლებად ითვისებს დასავლურ უნივერსალურ–ლიბერალურ ფასეულობებს;

ძლიერი სახელმწიფოსა და მმართველზე პერმანენტული მოთხოვნა წითელი ხაზივით გასდევს რუსეთის ისტორიას: გლეხთა ომები ბოლოტნიკოვის, რაზინის, პუგაჩოვის, ბულავინის მეთაურობით მიზნად ისახავდნენ კარგი მეფის მოსვლას ხელისუფლებაში, ხოლო მეფისადმი რწმენის დაკარგვის შემდეგ, ძლიერი ქარიზმული ლიდერისადმი ისტორიულმა რწმენამ გარდასახვა სტალინის პიროვნებაში ჰპოვა. კოლექტიურმა მმართველობამ ივანე მრისხანიდან დაწყებული ისტორიის განვითარების ვერც ერთ ეტაპზე ვერ ჰპოვა მხარდაჭერა და ამის დადასტურებაა მეოცე საუკუნის ბოლო, როდესაც პრეზიდენტმა ელცინმა ძალა გამოიყენა პარლამენტის წინააღმდეგ; პროცესების ნორმალიზება შესაძლებელი გახდა მხოლოდ პუტინის ავტორიტარული მმართველობის დროს, რომლის ძალადობრივ პოლიტიკას ქვეყნის შიგნით და გარეთ დიდი მხარდაჭერა აქვს მოსახლეობის მხრიდან: უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას, სირიის პროცესებმა კიდევ უფრო განამტკიცეს პუტინის რეიტინგი.

მესიანიზმი და „მტრის ხატის“ მოდელირების პრაქტიკა რუსეთის პოლიტიკური ისტორიის მთავარი მახასიათებელია და ამ მიმართულებით ეკლესია და თვითმპყრობელობა ყოველთვის ერთიანობას ავლენდა: ამაზე მეტყველებს ოფიციალური ხალხურობის თეორია, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მესამე რომის იდეის სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერა, სლავების განთავისუფლების ისტორიული მისია, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსი ხალხის მიერ პროლეტარიატის მიერ მსოფლიო ისტორიული მისიის გათავისება;

„მტრის ხატის“ არსებობას ფესვები სლავიანოფილურ იდეოლოგიაში აქვს და მან საუკუნეების გამოცდას გაუძლო და დღესაც აქტიურ როლს თამაშობს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში და მას აქტიურად იყენებს ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია–კონსოლიდაციის სფეროში; მედასავლეთელობის გააქტიურებას რუსეთში მოსდევდა სლავიანოფილობის გაძლიერება; ამ მიმართულებით აქტიური იყო ეკლესიაც, ხოლო ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობა საფუძველშივე სპობდა ლიბერალიზმისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პერსპექტივებს: რუსეთის პოლიტიკური განვითარების თავისებურების, უნიკალურობის დასაბუთება წარმოშობდა კონფრონტაციას დასავლური–ლიბერალურ დემოკრატიული ღირებულებების მიმართ; დღესაც რუსი მკვლევარები ასაბუთებენ რუსული დემოკრატიის თავისებურებას, დასავლეთთან კონფრონტაცია ბუნებრივ მოვლენად მიაჩნიათ–უკანასკნელი წლების განმავლობაში ლევადა ცენტრის კვლევების მიხედვით, ევროკავშირთან კარგი ურთიერთობის მომხრეთა რაოდენობა 30%–დან 10%–მდე შემცირდა; დღესაც პუტინის საარჩევნო კამპანიის მთავარი სლოგანი დასავლეთთან დაპირისპირებაა, თუმცა პრეზიდენტმა სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ რუსეთის მთავარი მტერი ჩამორჩენილობაა.

„ველიკოდერჟავული შოვინიზმი“ რუსული პოლიტიკის და კულტურის განუყოფელი ნაწილია და იგი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა რუსი ხალხის ცნობიერებაში; რუსეთის ტერიტორიების მუდმივი გაფართოებამ, დააჩქარა დამპყრობლის ფსიქოლოგიის, დერჟავული შოვინიზმის სტერეოტიპების ჩამოყალიბება

(„ვლადეი კავკაზ“, ვლადეი ვოსტოკ“ და ა.შ), რომელიც ხალხის კოლექტიური ცნობიერების ორგანული ნაწილი გახდა: ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობების, პარტიების, ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ავლენენ ველიკორუსულ შოვინიზმს, როცა საქმე ეხება სხვა ხალხებთან დამოკიდებულებას – მაგ. დეკაბრისტების, პ. პესტელის „რუსკაია პრავდა“–ს ეროვნული საკითხის ირგვლივ არსებული მოთხოვნები არაფრით განსხვავდებოდა და გარკვეული აზრით უფრო რეაქციულ მიზნებს ისახავდა, ვიდრე მაშინ არსებული თვითმპყრობელური ხელისუფლება. „ველიკოდერჟავული შოვინიზმის“ საშიშროებაზე წერდნენ საბჭოთა ლიდერები ლენინი, სტალინი, ბუხარინი და სხვები; ასევე აქტიურია ეს პრობლემა დღესაც: პუტინმა არა ერთხელ მიუთითა „ველიკორუსულ შოვინიზმზე“; ბჟეჟინსკის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის ლიდერებს და ასევე მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ამის მიზეზი მხოლოდ ხელისუფლებაა, რაც საფუძველშივე არაა მართებული; შოვინიზმი სამწუხაროდ აერთიანებს ხალხს, ხელისუფლებას, ინტელიგენციას და ამის დადასტურებაა არა მარტო წარსული, არამედ თანამედროვეობაც, არავითარი ორი, სამი და ოთხი რუსეთი არ არსებობს–ის ერთია ეროვნულ საკითხში და არ ცნობს თანასწორუფლებიანად არც ერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანას და განმსაზღვრელ ტენდენციას წარმოადგენს პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

ამრიგად, რუსული სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის ფორმირებაში საუკუნეების განმავლობაში განმსაზღვრელ გავლენას ახდენდა ძლიერი ხელისუფალის ძიება, მესიანიზმი, „მტრის ხატის“ მოდელირების პრაქტიკა, ველიკოდერჟავული შოვინიზმი, სლავიანოფილური იდეოლოგია, ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობა და რაც მთავარია სრული მხარდაჭერა ხალხის მხრიდან.

მანანა დარჩაშვილი
პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

ისტორიის გამოყენება საგნის - „საერთაშორისო ორგანიზაციები“ სწავლების დროს

საერთაშორისო პოლიტიკა ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავს და ხალხების მომავალს მრავალმხრივ წარმართავს. ყველასგან დამოუკიდებლად არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია უსაფრთხოების და დამოუკიდებლად განვითრების გარანტიების შექმნა. შესაბამისად, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების დიფერენცირებული ფუნქციონირებით, რომელსაც ახორციელებენ ისინი თანამშრომლობის ჩამოყალიბების მანდატით, საქმიანობენ სახელმწიფოების ურთიერთობისთვის. ყოველივე ამის გაცნობიერებით, საუნივერსიტეტო განათლების სხვადასხვა საფეხურზე, პროგრამებში, აშკარაა ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლის კუთხით საგნის არსებობა, რომლის მიზანია სტუდენტს სიღრმისეულად გააცნოს საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და ადგილი მსოფლიო სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში. განუმარტოს თითოეულის როლის მნიშვნელობა განსაკუთრებით პატარა ქვეყნის საერთაშორისო სისტემაში ჩართვის და განვითარების საქმეში (საქართველოს მაგალითზეც); საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მოქმედების პრინციპების ცოდნის საფუძველზე შეაფასოს და იმსჯელოს მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენებთან მიმართებაში მათ ქმედებაზე, მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიმდინარე პოლიტიკის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიებში და მოლაპარაკებებში მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებული კვლევის შედეგები შეაფასოს, არგუმენტირებულად იმსჯელოს, საჭიროების შემთხვევაში შეძლოს კრიტიკა, გააკეთოს შესაბამისი დასკვნები; თავისუფლად გამოიყენოს მონაცემთა ბაზები პრაქტიკაში და დისტანციურადაც ჩაერთოს მთელ რიგ განხილვებ-

ში და საჭიროების შემთხვევაში მათი მუშაობის მონიტორინგის საფუძველზე მოითხოვოს მათი ჩართულობა მთელი რიგი საკითხის შეფასებისა და რეკომენდაციების გაცემის მიზნით.

ფაქტია, რომ მიმდინარე ეტაპზე ინტეგრაციის მეშვეობით სახელმწიფოები ურთიერთდამოკიდებულებას აღიარებენ სხვადასხვა სფეროში. დადგენილი საერთო წესების ფარგლებში კოლექტიური ზეგავლენის მოხდენა ხდება საზღვრებს გარეთ, თანამეგობრობის ორგანოებისათვის მინიჭებული ძალაუფლება და ლეგიტიმურობა კი პერიოდულად იცვლება. შესაბამისად, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ თავზე დაიცვას საერთაშორისო უსაფრთხოება და ამასთან სხვისი დამოუკიდებლობაც. სხვადასხვა იარაღის (ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური) ეპოქაში კაცობრიობის მომავალი ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. ამასთან, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში რეგიონალური ინტეგრაციის ტემპმა მნიშვნელოვნად შეცვალა ბაზრების ტრანსნაციონალიზაციის, ვაჭრობის, ახალი ეკონომიკური სივრცის არსებული რეალობა - ეს ყველაფერი ის საკითხებია, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების პრეროგატივაა.

ამ ყველაფერზე მსჯელობისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩნდება უამრავი კითხვა, თუ როდიდან, რა გარემოებებმა, რა თანამიმდევრობებით, რის საფუძველზე, რა ტემპით, რა მიზნით, როგორ დაიწყო და როგორ განვითარდა, რა შედეგები მისცა მსოფლიოს მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების დაფუძნებამ. ამასთან, რაში მდგომარეობს ამ ორგანიზაციებისადმი სახელმწიფოთა (განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოთა) საგარეო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ტრადიცია. ეს კითხვები წმინდა ისტორიული ხასიათისაა (პასუხები წყაროებზე დაყრდნობით, მოვლენებს ისტორიული ფაქტების სტატუს სძენს), მაგრამ პასუხებს პოლიტიკური პროცესის დინამიკის გააზრებისათვის საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერებების მთელი რიგი დარგები და ქვედარგები ითხოვენ, შესაბამისად, მათ გარეშე ამა თუ იმ პროცესის სრული სურათის შექმნა-გააზრება სიმართლეს მოკლებული, არასრული იქნება.

გიორგი მელიქიძე

ისტორიის როლი პოლიტიკური კომუნიკაციის სწავლების პროცესში

პოლიტიკური კომუნიკაცია ინფორმაციის წარმოების, გადაცემისა და აღქმის პროცესს სწავლობს, რაც სასურველი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ მისი მეცნიერული შესწავლა მხოლოდ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო, პოლიტიკურ კომუნიკაციას იმდენი ხნის ისტორია აქვს რამდენიც თავად პოლიტიკას. პოლიტიკური კომუნიკაციის სწავლებისას ვეყრდნობით პოლიტიკის მეცნიერებაში არსებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, ხოლო ცოდნის გაღრმავებისთვის მივმართავთ ისტორიას. ისტორიის გარეშე, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის, აგრეთვე რიგი სოციალური მეცნიერებების შესწავლა ზედაპირული ხასიათისაა. რთულია, სტუდენტს აუხსნა, მაგალითად, რიტორიკის როლი პოლიტიკაში და არ მოიშველიო მაგალითები და არგუმენტები ისტორიიდან.

ჩვენი მიზანია ავხსნათ და დავასაბუთოთ ისტორიის როლი პოლიტიკური კომუნიკაციის სწავლების პროცესში. სწავლების პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ რაც უფრო მეტადაა წარმოდგენილი ისტორიული ფაქტები სასწავლო მასალაში და თავად სალექციო პროცესში, მით უფრო იზრდება სტუდენტების ცოდნა და ინტერესი საგნისადმი. ისტორიის გამოყენება გვეხმარება, როგორც სწავლების პროცესში, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის დროს. ეს კი საშუალებას გვაძლევს პოლიტიკური კომუნიკაციის კუთხით არსებული ცოდნა გავაღრმავოთ და წინ წამოვწიოთ ახალი მიმართულებები. ისტორიული პარალელების გარეშე რთულია სრულყოფილად გაიაზრო, თუ რამდენად განვითარდა საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სამომავლოდ რა პერსპექტივა აქვს მას. ისტორიული კვლე-

ვის არაერთი ინსტრუმენტი არსებობს, რომელიც განსაკუთრებით მოსახერხებელია პოლიტიკური კომუნიკაციის სწავლებისას. მაგალითად, კონტექსტუალიზაცია ის საშუალებაა, რომელიც გვეხმარება სტუდენტს ზუსტად განვუმარტოთ, თუ რა გარემო პირობებით იყო განპირობებული პროპაგანდის წარმოშობა პოლიტიკაში. ასეთ დროს, როგორც წესი ფართო განხილვა ეწყობა ხოლმე მეორე მსოფლიო ომისა და იმჟამინდელი ისტორიული მოვლენების ირგვლივ. პერიოდიზაციის გამოყენებით ნათლად შეგვიძლია ავხსნათ, თუ როგორ მოხდა მედიასაშუალებების განვითარება და რა გავლენა იქონია ამან მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. კაუზალური ინსტრუმენტი კი გვეხმარება კონკრეტული მაგალითების მეშვეობით დავარწმუნოთ სტუდენტი პოლიტიკური რეკლამის მნიშვნელობასა და გავლენაში.

პოლიტიკური კომუნიკაციის საუკუნოვანი კვლევის პერიოდში, მხოლოდ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე გახდა ისტორია საკითხის მკვლევრების ინტერესის საგანი. საწყის ეტაპზე პოლიტიკური კომუნიკაციის შესწავლა პოლიტიკის მეცნიერების, სოციალური ფსიქოლოგიისა და მასობრივი კომუნიკაციის დისციპლინებს მოიცავდა. თუმცა, ათწლეულების მანძილზე დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ისტორიული საფუძვლების იგნორირებით, პოლიტიკური კომუნიკაციის სამეცნიერო სწავლება ჩიხში ექცეოდა და რჩებოდა არაერთი აუხსნელი და პასუხგაუცემელი შეკითხვა. პოლიტიკური კომუნიკაციის სწავლებისას ისტორიის გამოყენება მხოლოდ არსებული ცოდნის გადმოცემას არ გულისხმობს. იგი ეხმარება სპეციალისტებს წარსულის გამოცდილების საფუძველზე, შეიმუშაონ ის ინსტრუმენტები, რომელიც სამომავლოდ პრაქტიკულ საქმიანობაში მოიტანს შედეგებს.

ისტორიის გამოყენებით, მიღებული გამოცდილების ინსტრუმენტალიზაციის საუკეთესო მაგალითია პოლიტიკურ კომუნიკაციაში შემავალი, განსახილველი თემის, სფიჩრაითინგის მეცნი-

ერული კვლევა და სწავლება. მოგეხსენებათ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი ყველა ეპოქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი საფუძვლები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე უნდა ვეძებოთ. სწორედ ისტორიული გამოცდილების გამოყენებით, საუკუნეების მანძილზე დაშვებული შეცდომებისა და მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით, დღეს შეგვიძლია კონკრეტული რჩევა მივცეთ სტუდენტებს, თუ როგორ უნდა მოამზადოს სიტყვა პოლიტიკოსმა ან მისმა სფიჩრაითერმა. უფრო მეტიც, სასემინარო მუშაობის დროს თითოეულ სტუდენტს ეძლევა დავალება თავად დაწეროს სიტყვა მიღებული ცოდნისა და რჩევების გათვალისწინებით. ამ კუთხით მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სტუდენტები სრულად იაზრებენ პოლიტიკოსის სიტყვის, როგორც შინაარსის, ასევე სტრუქტურისა და სტილის მნიშვნელობას. მათ თამამად შეუძლიათ განსაზღვრონ არა მხოლოდ სიტყვის აუდიტორიასთან შესაბამისობა, არამედ ტექსტში გამოყენებული სიტყვების აუთენტურობა.

პოლიტიკურმა მარკეტინგმა და რეკლამამ წლების მანძილზე სახე იცვალა და პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა. სტუდენტებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოლიტიკური რეკლამის წარმოშობის ისტორია, პირველი ვიდეორგოლი („მე მომწონს აიკი“) და განვითარების ეტაპების შედარებითი ანალიზი. პოლიტიკური კომუნიკაციის მიმართულებით არსებული არქივი მრავლად ინახავს ისტორიულ ფოტოებს, პლაკატებსა და ვიდეორგოლებს, რაც მნიშვნელოვანი ანალიზის ერთეულია. ამგვარი მიდგომა გვეხმარება, რომ სტუდენტები არ შემოიფარგლონ მხოლოდ თეორიული ცოდნით და საკუთარი თვალით ნახონ პოლიტიკური კომუნიკაციის სხვადასხვა პერიოდის განვითარების მახასიათებლები.

კვლევისა და სწავლების პროცესში მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ისტორიის გამოყენება ზრდის პოლიტიკური კომუ-

ნიკაციის შესწავლისა და სწავლების ეფექტურობას. პოლიტიკური კომუნიკაციის განვითარება მნიშვნელოვანწილად სწორედ ისტორიის გამოყენებას ეფუძნება.